საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არგოსი

არგოსი (ბერძნ. Argos), ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი, ფრიქსესა და აიეტის ასულ ქალკიოპეს ან იოფოსას ძე, ფრონტისის, მელასის კიტისორეს ძმა.

კოლხეთში მიმავალი არგონავტები ხომალდის დაღუპვის შემდეგ ერთ უკაცრიელ კუნძულზე გადასხდებიან, სადაც შეხვდებიან ა-სა და მის ძმებს. ა. ძმებთან ერთად კოლხეთში გაჰყვება არგონავტებს და ქალკიოპეს შემწეობით იასონს მედეასთან დააკავშირებს. ბოლოს არგონავტებთან ერთად გაიქცევა საბერძნეთში, იქ ადმეტეს ასულ პერიმელაზე იქორწინებს და მისგან ვაჟიშვილი მაგნეტი შეეძინება.